

Discussion about ideas on DARE Dissemination Day on 26th of April, 2017

Participant of the Discussion:

Tata Lordkipanidze
Erasmus+ National office
Welcome Speech



I would like to welcome you on behalf of ERASMUS + national office of Georgia and want to congratulate all of you with successful implementation of DARE project. The project is not the first attempt of good partnership with our colleagues from Spain, UK and Czech Republic and of course we have to mention separately the successful collaboration with partners from Israel, we have 6 Capacity building projects with universities of Israel so far.

The topic of the project - quality and accessibility of inclusive education -focusing on developing institutional and human capacity is essential. As for its implementation we have already conducted the preventive monitoring visit of the given project last year and the report and feedback was quite positive.

Tomorrow our office is organizing the first cluster monitoring meeting, aiming at gathering similar projects and discussing actual issues, achieved results and problems discovered. The first cluster monitoring visit will be addressed exactly to teacher education and DARE project was selected amongst other to take part in the meeting. Though we will have opportunity to talk about the project tomorrow in more details. Hope that the meeting will be quite

interesting and useful. So, see not all, but many of you tomorrow and of course wish you all the success in your further activities.

Thank you.

Natia Gorgadze
PhD in Education, Evaluation Specialist

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ წარმომადგენელი



პრეზენტატორებმა ხელმისაწვდომობის საკითხები რეალურად ყველა იმ პერსპექტივიდან მიმოიხილეს, რომელიც საკვანძოდ მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, ყველაზე ნაკლები აქცენტი გაკეთდა იმ საკითხებზე, რომლებიც საუნივერსიტეტო სწავლების პროცესში ეხება ხელმისაწვდომობას და რომელიც თავად უნივერსიტეტების პრეროგატივაა მათი დამოუკიდებლობიდან გამომდინარე. განხილულ საკითხებს მე დავამატებდი ეფექტიანობის პერსპექტივასაც, და ამ ჭრილში შემდეგ საკითხებზე გავამახვილებდი ყურადღებას:

1. შიდასაუნივერსიტეტო ინტერდისციპლინარი მიდგომა და უნივერსიტეტებსშორისი თანამშრომლება, რომელიც ეფექტიანია ბევრი სხვადასხვა კუთხით და უმაღლესის ხელმისაწვდომობას ზრდის:

ა. კურსებისა და პროგრამების ხელმისაწვდომობის კუთხით (მრავალფეროვანი არჩევანი - სასურველი განათლების მეტი ხელმისაწვდომობა)

ბ. არსებული პროგრამების გამდიდრების კუთხით ნაკლები ფინანსური დანახარჯით (ახალი პროფესორების მოწვევის მაგივრად, ხდება არსებული რესურსების თანამშრომლებითი მიდგომის პირობებში ეფექტიანი გამოყენება)

2. სტუდენტზე ორიენტირებული სერვისების გაუმჯობესება, როგორებიცაა:

ა. საცხოვრებლის მოძიებაში დახმარება (გამჭირავებლებთან საუნივერსიტეტო ხელშეკრულებები, უხვი მონაცემები და ბაზების წვდომა სტუდენტებისათვის), საპროგრამო კონსულტაციები, საორიენტაციო შეხვედრები, ა.შ.)

3. საუნივერსიტეტო და აკადემიური გარემო, რომელიც განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდაზეა ორიენტირებული სტუდენტთა ყველა ჯგუფისათვის:

ა. სტუდენტთა თანამშრომლების ხელშეწყობის პროგრამები;

ბ. აკადემიურ კურსებში/პროგრამებში მულტიკულტურული კომპეტენციების ასახვა;

გ. აკადემიური პერსონალის მომზადება სტუდენტთა მრავალფეროვან ჯგუფების სწავლებისათვის (იგულისხმება ყველა ჯგუფი);

დ. მულტიკულტურალიზმის, გენდერული თანასწორობის ამსახველი კურსების ზოგადსაუნივერსიტეტო კურსებად დამტკიცება;

4. შიდასაუნივერსიტეტო მოქნილობა:

ა. მაგალითად, საფეხურებთშორისი ბარიერების შემცირება სხვადასხვა კურსების რამდენიმე საფეხურზე აღიარების საშუალებით (კურსები, რომლებიც ხელმისაწვდომია ორივე, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისათვის კრედიტის მისაღებად. განათლების შემდეგ საფეხურზე გაგრძელების და ასეთი კურსების უკვე გავლის შემთხვევაში, ხდება გავლილი კურსის კრედიტად აღიარება შემდეგ საფეხურზე ავტომატურად).

ცხადია, უმაღლესი/საუნივერსიტეტო განათლების ხელმისაწვდომობის ძალიან ბევრი ინდიკატორი და მექანიზმი არსებობს, და ვიმედოვნებ, რომ ამ საკითხებზე დისკუსიას და ქმედითი ნაბიჯების განხორციელებას კიდევ გააგრძელებთ.

ნატო ქობულაძე

*ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელი,*

მაია ახვლედიანი

*ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის დეპარტამენ-
ტის ხელმძღვანელი*

გვინდა ჩვენი დამოკიდებულება და მოსაზრებები გამოვხატოთ გუმინდელი შეხვედრის შესახებ.

პირველ რიგში, დიდ მადლობას მოგახსენებთ ღონისძიებაზე მოწვევისათვის. მივესალმებით პროექტში ჩართული უნივერსიტეტების მიერ განხორციელებულ აქტივობებს, რაც გამოიხატება სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფებისა და საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის შესაბამისი სერვისების შემუშავება-განხორციელებაში.

აღნიშნავთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება ინკლუზიური განათლების საკითხებზე, რაც ცვლის საუნივერსიტეტო ხედვასა და დამოკიდებულებას და საფუძველია უნივერსიტეტების მიერ სტუდენტზე ორიენტირებული და მორგებული სწავლების განხორციელებისათვის. აღნიშნული მეტად მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო სივრცეში და არამარტო, ტოლერანტობისა და მულტიკულტიურული გარემოს განვითარებისათვის.

აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით ვაცხადებთ მზაობას და დიდი სურვილი გავგაჩნია მონაწილეობა მივიღოთ და ჩავეერთოთ სხვადასხვა აქტივობებსა და კვლევებში აღნიშნული პროექტის ფარგლებში. ასევე, სურვილი გვაქვს გავუზიაროთ მეგობარ უნივერსიტეტებს აღნიშნულ სფეროში დაგროვილი ჩვენი გამოცდილება და შევთავაზოთ სხვადასხვა ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების, საზაფხულო სკოლებისა და ვორქშოპების ორგანიზებაში მონაწილეობა.

გისურვებთ წარმატებებს.

კეთილი სურვილებით!

ნათია ჯოხაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსი



სახელმწიფო ყოველთვის არის ვალდებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების წინაშე, რათა მათ მისცეს განათლების საშუალება. სტრატეგია წარმოადგენს სახელმწიფოს ხედვას, თუ როგორ უნდა გადავჭრათ ჩვენ პრობლემები...

გუნა ბიბილეიშვილი

არასამთავრობო ორგანიზაცია „ბავშვი ოჯახი საზოგადოება“



ჩვენ შეგვიძლია, რომ სისტემას მივცეთ რესურსი თუნდაც დამხმარე პედაგოგების სახით. თითოეულ რაიონში თითო ასეთი არასამთავრობო ორგანიზაცია და დღის ცენტრი მაინც არსებობს. ეს არის გარკვეული რესურსი იმისთვის, რომ სკოლებმა ითანამშრომლონ არასამთავრობო ორგანიზაციებთან...

დისკუსიაში ასევე მონაწილეობდნენ:


ვალერიან გობრონიძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი



თამარ მოსიაშვილი

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის წარმომადგენელი“, განათლების სპეციალისტი



თამარ ჯავახიშვილი
სსუ განათლების ფაკულტეტის პროფესორი



დავით ზურაბაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი



სტუდენტები: შაჰნიარ მამედოვა, სამირა პირგასიმოვა, შაჰილა იუსუბოვა, თაკო
ივანიძე და სხვები. იხილეთ მეორე ფაილში